

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2022 წლის 21 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (თებერვალი);
3. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ (თებერვალი-მარტი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (მარტი);
5. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე (მარტი-მაისი);
7. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშის მოსმენა (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი, დეკემბერი);
8. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი, დეკემბერი);
9. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ; (ივლისი-აგვისტო);
10. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2022 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციების მოსმენა. (ივლისი-აგვისტო);
11. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);

12. 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვა (წლის განმავლობაში);

13. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (დეკემბერი);

14. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 16 სხდომა, მათ შორის 12 რიგითი და 4 რიგგარეშე სხდომა; განხილულია 27 საკითხი, რომელთაგან ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანილია 27 საკითხი; მიღებულია 5 დადგენილება და 9 განკარგულება, მოსმენილია 10 ანგარიში.

კომისია შედგება 11 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრი წარმოადგენს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“, 2 წევრი ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 1 წევრი უფრაქციოა.